სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პრესრელიზი

31.03.2015წ.

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
კომუნიკაციების მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

შეხვედრა ქ. თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში ბოლო პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის პროცედურების უკეთ გაცნობას, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული შეცდომების პრევენციას, საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და საჯარო სკოლებში ამ კუთხით არსებული პრობლემების მოგვარების გზების დასახვას ემსახურებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინიციატივით 31 მარტს გამართული შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თბილისის რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები. კერძოდ, ვაკე-საბურთალოს, ძველი თბილისისა და დიდგორის, ისანი-სამგორის, დიდუბე-ჩუღურეთის და გლდანი-ნაძალადევის რაიონების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა ნანობაშვილი და სხვა პასუხისმგებელი პირები.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის განუხრელად დაცვის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხრიდან გამოითქვა სრული მზაობა, რათა საგანმანათლებლო რესურსცენტრების ჩართულობით მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების აქტუალურ საკითხებზე მათთვის კონსულტაციების გაწევა, შემდგომში საჯარო სკოლების შესყიდვების სპეციალისტებისათვის ცოდნის გაზიარების მიზნით.

ასევე, დაიგეგმა საინფორმაციო ხასიათის სამუშაო შეხვედრებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში ტრენინგების ჩატარება საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების შესყიდვების სპეციალისტთათვის.